USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №11
აგვისტო 1 - სექტემბერი 1, 2020

თბილისი, 2020

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

მარიამ ლაცაბიძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, 2019 წლის აგვისტოდან ახორციელებს პროექტს - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში". მისი დაფარვის არეალია თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარა.

პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად, საია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

ეუთო/ოდირის საჭიროებების შეფასების მისიის ანგარიში

ეუთო/ოდირის საჭიროებების შეფასების მისიამ (NAM) 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების მიზნით შეიმუშავა ანგარიში, რომლის მიზანი იყო, შეეფასებინა წინასაარჩევნო გარემო საქართველოში.[1] NAM-ის წევრებმა შეხვედრები გამართეს ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიების, მედიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.[2]

NAM-ი მიესალმა საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებსაც ფართო და ინკლუზიური პროცესი უძღოდა წინ და მიზნად ისახავდა OSCE/ODIHR-ის რეკომენდაციების კანონმდებლობაში ასახვას.[3] თუმცა, მათი თქმით, ნორმატიული წესების თანმიმდევრული აღსრულება კრიტიკულად მნიშვნელოვანია დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის.[4] ისინი დადებითად აფასებენ გენდერული კვოტირების შემოღებას.[5]

NAM-ის წარმომადგენლებმა წუხილი გამოთქვეს მმართველი პარტიის მხრიდან კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული კრიზისის ფონზე ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენებისა და ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევებზე.[6]

მისიამ მიიჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება იქნება საჭირო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, ამომრჩევლის მოსყიდვისა და დაშინების შემთხვევების მიმართულებით.[7]

მიგნებების საფუძველზე, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის NAM-ი რეკომენდაციას უწევს 28 გრძელვადიანი და 350 მოკლევადიანი დამკვირვებლის დანიშვნას.[8]

---

[1] OSCE, Office for Democratic Institutions and Human Rights, GEORGIA. PARLIAMENTARY ELECTIONS 31 OCTOBER 2020. ODIHR NEEDS ASSESSMENT MISSION REPORT. 3-8 August 2020, Warsaw, 28 August 2020, OSCE-ის ვებგვერდი, გვ. 1, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hGkHN8, განახლებულია: 17.09.2020.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 2.
[5] იქვე.
[6] იქვე.
[7] იქვე.
[8] იქვე, გვ. 10.

NDI-ის 2020 წლის წინასაარჩევნო ანგარიშის ანალიზი

ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) გააანალიზა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემო.[9] NDI 2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების მთავარ გამოწვევად პანდემიას მიიჩნევს, რადგან ახალი კორონავირუსი არა მხოლოდ კამპანიის სტრატეგიებსა და საარჩევნო უბნების პროტოკოლებზე, არამედ, სავარაუდოდ, ამომრჩევლის ქცევაზეც იქონიებს გავლენას.[10]

NDI-ს მოლოდინი აქვს, რომ არჩევნები დემოკრატიულ გარემოში ჩატარდება, რადგან, მათი აზრით, დამოუკიდებლობის თითქმის 30 წლის თავზე საქართველომ დაადასტურა, რომ ქვეყანას სანდო არჩევნების ჩატარებისთვის საჭირო ტექნიკური შესაძლებლობები გააჩნია.[11] ანგარიშში ასევე საუბარია, რომ ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად და გზა გაუხსნა სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე ეტაპობრივად გადასვლას.[12]

ანგარიშის მიხედვით, არჩევნებთან დაკავშირებული გარკვეული საკითხები კვლავ გამოწვევად რჩება, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პოლარიზაციას და საარჩევნო პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობას აკნინებს.[13] პრობლემურ საკითხებს შორისაა: უყურადღებო ან მიკერძოებული აღსრულება, ადმინისტრაციული რესურსებისა და სასამართლო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, დაშინება და შევიწროება, პერსონიფიცირებული და პოლარიზებული საარჩევნო კამპანია, ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების პროცესიდან გამოტოვება, საინფორმაციო გარემოს დაბინძურება.[14] საერთო ჯამში NDI-ის ანგარიში საქართველოს საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად 30 რეკომენდაციას გასცემს.[15]

ცესკოს დადგენილება საარჩევნო კომისიების შენობებში დასაცავი სანიტარიულ-ჰიგიენური წესების შესახებ

2020 წლის 31 აგვისტოს ცესკომ ინიციატივის „ვიმსჯელოთ ერთად“ ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა გამართა, სადაც წარმოადგინა დადგენილების პროექტი საარჩევნო ადმინისტრაციების შენობებში სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესახებ.[16]

დადგენილება, კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, ადგენს სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს, რომლებიც ყველასთვის სავალდებულოა. ასეთია: პირბადის ტარება, თავშეყრის ადგილებისგან დისტანცირება, ჰიგიენის წესების დაცვა, სადეზინფექციო ხსნარების გამოყენება და სხვა.[17] პირი ვალდებულია, დაიცვას ამ დადგენილებით განსაზღვრული პირბადის ტარების წესი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ექვემდებარება გაფრთხილებას, ხოლო ამ წესის დარღვევის გაგრძელებისას, შენობიდან გაძევებას.[18] დადგენილების მოქმედება არ

[9] Georgia Election Watch 2020, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), NDI-ის ვებგვერდი, გვ. 1, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ms4VJr, განახლებულია: 17.09.2020.
[10] იქვე.
[11] იქვე. გვ. 2
[12] იქვე.
[13] იქვე.
[14] იქვე. გვ. 3,6,7,10,11,12.
[15] იქვე. გვ. 5,6,9,13,16.
[16] „სანიტარიულ-ჰიგიენური წესების განხილვა საარჩევნო კომისიებისთვის“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 31.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bR5Mi7, განახლებულია: 11.09.2020.
[17] საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 1-ლი სექტემბრის №24/2020 დადგენილების მე-2 მუხლი.
[18] იქვე. მე-5 მუხლი.

ვრცელდება კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობებში ყოფნასა და შესვლა/გამოსვლაზე.[19]
საია მიესალმება საარჩევნო კომისიების შენობებში სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაწესებას.

ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში

2020 წლის 31 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა დაჩქარებული წესით, პირველი მოსმენისთვის განიხილა საარჩევნო კოდექსის ცვლილებები, რომლითაც ამომრჩევლის დაშინების, იძულებისა და ხმის მიცემის ფარულობის დარღვევისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება.[20]

საია მიესალმება ამომრჩევლის ნების კონტროლზე გავლენის აღმოსაფხვრელად საკანონმდებლო რეგულაციების გამკაცრებას, თუმცა მიიჩნევს, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამ რეგულაციების ეფექტური აღსრულება. იმავდროულად, საიას მოსაზრებით, საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებები არჩევნებამდე გონივრულ ვადებში უნდა მტკიცდებოდეს და არა არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე.[21]

ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში

საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო პოლიტიკური გაერთიანება „გირჩის“ სარჩელი გენდერული კვოტირების არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით.[22] პარტია ითხოვს იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რის საფუძველზეც მას ეკისრება ვალდებულება, რომ პროპორციულ სიაში ყოველი მეოთხე ადამიანი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი შეიყვანოს.[23]

კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, „საქართველოს პარლამენტში სქესთა შორის ბალანსის დაცვა არ შეიძლება ჩაითვალოს შეზღუდვის ღირებულ ლეგიტიმურ მიზნად, რადგან ამომრჩეველმა პოლიტიკური პროცესის საფუძველზე თავად უნდა გადაწყვიტოს, ვინ დაიკავებს ამა თუ იმ არჩევით თანამდებობას. ამასთანავე, [...] იზღუდება არა მხოლოდ კონკრეტულ პირთა პასიური საარჩევნო უფლება, არამედ პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერთა და პარტნიორთა უფლება, პარტიული სია დააკომპლექტონ საკუთარი სურვილის შესაბამისად, რაც, საბოლოო ჯამში, პარტიის სრულფასოვან ფუნქციონირებასაც საფრთხეს უქმნის.“[24]

საკონსტიტუციო სასამართლომ „გირჩის” სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო, თუმცა, არ დააკმაყოფილა მოთხოვნა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საარჩევნო კოდექსის ამ მუხლის მოქმედების შეჩერების შესახებ.[25] საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას

[19] იქვე. მე-6 მუხლი.
[20] „იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ამომრჩევლის იძულების, დაშინების და ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის შემთხვევებზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას მხარი დაუჭირა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 31.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33txMEL, განახლებულია: 15.09.2020.
[21] „საარჩევნო კანონმდებლობის „ბოლო წუთს“ მიღებით, შესაძლოა, საფრთხე შეექმნას ნდობას პროცესების მიმართ და არ დატოვოს იმის შესაძლებლობა, რომ საარჩევნო პროცესებში ჩართული სუბიექტები და ამომრჩევლები ამ წესებს დროულად გაეცნონ.“ OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), Guidelines for Reviewing a Legal Framework for Elections, Second Edition, OSCE-ის ვებგვერდი, ვარშავა, 2013, გვ. 11, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iG59ub, განახლებულია: 17.09.2020.
[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის N3/8/1526 საოქმო ჩანაწერი საქმეზე ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “ახალი პოლიტიკური ცენტრი”, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
[23] იქვე, I-3.
[24] იქვე, I-7.
[25] იქვე, III-1.

უახლოეს მომავალში გამოიტანს.

საია მიიჩნევს, რომ გენდერულ კვოტირებას აქვს გადამწყვეტი, გრძელვადიანი და მდგრადი პოზიტიური გავლენა ქალი კანდიდატებისა და არჩეული ქალების რიცხვის გასაზრდელად. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია არა თუ ამ რეგულაციის გაუქმება, არამედ გენდერული კვოტირების წილის 50%-მდე გაზრდა.

რურუას საქმე

2020 წლის 28 აგვისტოს „მთავარი არხის" ერთ-ერთი მეწილის, გიორგი რურუას ადვოკატებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება რურუას პატიმრობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს.[26] 2020 წლის 30 ივლისს პირველი ინსტანციის სასამართლომ რურუა დამნაშავედ ცნო იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაში და მას 4 წლით პატიმრობა შეუფარდა.[27]

საია თბილისის საქალაქო სასამართლოში გიორგი რურუას საქმეს სასამართლო მონიტორინგს უწევდა. მონიტორინგმა აჩვენა, რომ ამ საქმეში რიგი პრობლემური გარემოებები გამოიკვეთა.[28] **საია აგრძელებს საქმეზე დაკვირვებას.**

[26] „რურუას განაჩენი ადვოკატებმა სააპელაციოში გაასაჩივრეს", საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი", 28.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iE7g1P, განახლებულია: 17.09.2020.
[27] იქვე.
[28] გიორგი რურუას საქმის შესახებ დამატებით იხ. ლაცაბიძე მ., საინფორმაციო ბიულეტენი №10. ივლისი 1 - აგვისტო 1, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2020, გვ. 6-7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35J3T5Q, განახლებულია: 17.09.2020.